ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

ფინანსური ანგარიშგებების განხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები

გამოცემა მეორე - 2019-2020 წლების ფინანსური ანგარიშგებები

შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა (შემდგომში - სამსახური) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ევროკავშირის პრაქტიკის გამოყენებით დაიწყო საწარმოთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების სიღრმისეული განხილვის პროცესი, ფასს სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დასადგენად. აღნიშნული პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის სამსახურმა 2020 წლის 26 ნოემბერს თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა სახელმძღვანელო დოკუმენტი „2019-2020 წლების ანგარიშგების განხილვის პრიორიტეტები“, რომელშიც აისახა ინფორმაცია წარდგენილი ან/და გასაჯაროებული ანგარიშგებების განსახილველად შერჩევის კრიტერიუმებისა და წარდგენილ ან/და გასაჯაროებულ ანგარიშგებებში ფასს სტანდარტებთან შეუსაბამობების გამოვლენისა და მათი გასწორების შესახებ.

დოკუმენტის მიზანი და პერიოდულობა

აღნიშნულ დოკუმენტში შეჯამებულია, 2021 წელს წარდგენილი და სამსახურის მიერ შერჩეული ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის განხილვის პროცესში გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამობები. სამსახურის ხედვით, აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება ხელს შეუწყობს სამსახურში წარდგენილი ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის ამაღლებას.

შერჩეული სიმრავლე და შეზღუდვები

განხილვისთვის, სამსახურმა შეარჩია 2019 და 2020 საანგარიშგებო წლების ფასს სტანდარტებით მომზადებული 35 ანგარიშგება:

- სდპ კატეგორია - სდპ კატეგორიის საწარმოთა 7%,
- I კატეგორია - I კატეგორიის საწარმოთა 14%,
- II კატეგორია - II კატეგორიის საწარმოთა 2%.

დოკუმენტში ასახულია განხილვის შედეგად გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამობები, რაც შესაძლოა უფრო მრავალ ასპექტს და დეტალს მოიცავდა, რომ არა სამსახურის რესურსებისა და ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით არსებული შეზღუდვები. შემდგომ ეტაპებზე სამსახური გეგმავს სხვა კატეგორიის საწარმოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებების განხილვასაც.

გამოვლენილი შეუსაბამობების შეჯამება:



ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები

განხილული ანგარიშგებების 60%-ში გამოვლინდა ფასს 7 სტანდარტის დარღვევა, კერძოდ:

სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები

არ იყო წარმოდგენილი სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

სასესხო ვალდებულებების და რისკების მართვის განმარტებითი შენიშვნები

არ იყო წარმოდგენილი სასესხო ვალდებულებების და რისკების მართვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია.

ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

განხილული ანგარიშგებების 43%-ში გამოვლინდა ბასს 1 სტანდარტის დარღვევა, კერძოდ:

განმარტებითი შენიშვნა

დეტალური ინფორმაცია კაპიტალის მუხლების შესახებ განმარტებით შენიშვნაში არ იყო სათანადოდ გამჟღავნებული. ასევე, განმარტებით შენიშვნაში არასრულად იყო წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომ მუხლებზე: გადახდილი ავანსების, მიღებული გრანტების, ძირითადი საშუალებების და მასთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის და ასევე გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ.

შესადარისი ინფორმაცია

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და საინვესტიციო ქონების განმარტებით შენიშვნებში გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია არ წარმოადგინა.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების გამიჯვნა

გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი არ იყო გამოყოფილი.

დამატებითი შესადარისი ინფორმაცია

განმარტებითი შენიშვნა დამატებით შესადარის ინფორმაციაზე არ იყო წარმოდგენილი. ბასს 1 სტანდარტის თანახმად, საწარმოს შეუძლია, ფასს სტანდარტებით მოთხოვნილი მინიმალური შესადარისი ფინანსური ანგარიშგებების გარდა, წარმოადგინოს დამატებითი შესადარისი ინფორმაცია. თუ საწარმო წარმოადგენს ამგვარ დამატებით შესადარის ინფორმაციასაც, მან ასევე უნდა წარმოადგინოს ამ დამატებითი ანგარიშგებების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებიც.

უზუფრუქტით გადმოცემული შენობა-ნაგებობების იჯარა

უზუფრუქტით გადმოცემული შენობა-ნაგებობების იჯარიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით არ იყო საკმარისი ინფორმაცია გამჟღავნებული. მათ შორის: შეფასებასა და აღიარებაზე.

აქტივებისა და ვალდებულებების ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა
ურთიერთგადაფარული იყო აქტივების და ვალდებულებების ან ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები, რომლებიც არ იყო მოთხოვნილი ან დაშვებული რომელიმე სტანდარტით.

სხვა ტექნიკური ხარვეზები
შინაარსობრივ საკითხებთან ერთად გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზებიც, როგორიცაა:

- ძირითადი ფინანსური ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნების შეუსაბამო ნუმერაცია;
- ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებში და, რიგ შემთხვევებში, განმარტებით შენიშვნებში მითითებული არასწორი საანგარიშგებო პერიოდის თარიღი. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღად, 31 დეკემბრის ნაცვლად, ფიქსირდება მომდევნო წლის 1-ლი იანვარი.

ბასს 24 - დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები
განხილული ანგარიშგებების 17%-ში გამოვლინდა ბასს 24 სტანდარტის დარღვევა, კერძოდ:

განმარტებითი შენიშვნა
განმარტებითი შენიშვნა დაკავშირებულ მხარეთა შესახებ არ იყო წარმოდგენილი.

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე
ინფორმაცია საბოლოო მაკონტროლებელი მხარის შესახებ არ არის გამჟღავნებული (საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა **იურიდიული** ან **ფიზიკური პირი**).

ბასს 16 - ძირითადი საშუალებები
განხილული ანგარიშგებების 14%-ში გამოვლინდა ბასს 16 სტანდარტის დარღვევა, კერძოდ:

გადაფასების რეზერვი
მიმდინარე წლის გადაფასების რეზერვის ზრდა არ იყო წარმოდგენილი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შიდა მოძრაობა
ძირითადი საშუალებების განმარტებით შენიშვნაში, დაუმთავრებელი მშენებლობის შიდა მოძრაობა წარმოდგენილი იყო როგორც „გასვლა“.

რეალური ღირებულება
განმარტებით შენიშვნაში, როდესაც ძირითადი საშუალების რეალური ღირებულება არსებითად განსხვავდებოდა საბალანსო ღირებულებისგან, ძირითადი საშუალების რეალური ღირებულების ოდენობა არ იყო გამჟღავნებული.

დამოუკიდებელი შემფასებელი

როდესაც ძირითადი საშუალებები ასახული იყო გადაფასებული ღირებულებით, ინფორმაცია მოწვეული დამოუკიდებელი შემფასებლის შესახებ არ იყო გამჟღავნებული.

ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები

ძალაში ახლადშესული სტანდარტების გამოყენება

განხილული ანგარიშგებების 14%-ში ძალაში ახლადშესული ფასს სტანდარტების გამოყენების ეფექტი და შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა არ არის წარმოდგენილი.

ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

მუხლების არასწორი წარდგენა საქმიანობის სახეების მიხედვით

განხილული ანგარიშგების 9%-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მუხლები საქმიანობის სახეების მიხედვით შეცდომით არის წარმოდგენილი.

მაგალითად: არაპირდაპირი მეთოდით შედგენილი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები (მაგ: გრძელვადიანი აქტივის გადაფასების რეზერვის ცვლილება, რომელიც აღიარებულია მოგება-ზარალის ნაწილში) წარმოდგენილია ფინანსურ საქმიანობაში, მაშინ როდესაც ბასს 7 მის ასახვას მოითხოვს საოპერაციო საქმიანობაში. ასევე, მუხლი „ცვლილებები ძირითად საშუალებებში“, სადაც ძირითადი საშუალებების შესყიდვა და ძირითადი საშუალებების გასვლა გამჟღავნებულია ერთ მუხლად.

ბასს 2 - მარაგები

მარაგების რეზერვები

განხილული ანგარიშგების 9%-ში მარაგების განმარტებით შენიშვნაში სასაქონლო მატერიალური მარაგების რეზერვებია წარმოდგენილი.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებადი ღირებულების დათვლის მეთოდი

განხილული ანგარიშგებების 6%-ში სესხის ამორტიზირებადი ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დათვლისას, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (საპროცენტო ხარჯი) არ იყო გათვალისწინებული.

ბასს 10 - საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

განმარტებითი შენიშვნა

განხილული ანგარიშგებების 6%-ში განმარტებითი შენიშვნები საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენების შესახებ არ არის წარმოდგენილი.

ბასს 28 - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში

მიღებული დივიდენდის აღიარება

განხილული ანგარიშგებების 6%-ში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგება-ზარალში და დივიდენდის მიღება არ იყო აღიარებული წილობრივი მეთოდის გამოყენებით.

ფასს 16 - იჯარა

განმარტებითი შენიშვნა

განხილული ანგარიშგებების 3%-ში, იმ შემთხვევაში თუ საწარმო წარმოადგენდა მეიჯარეს, საიჯარო საქმიანობის ხასიათის შესახებ არ იყო ინფორმაცია გამჟღავნებული.

ბასს 40 - საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების აღიარება

განხილული ანგარიშგებების 3%-ში უძრავი ქონება, რომელიც აკმაყოფილებდა საინვესტიციო ქონების აღიარების კრიტერიუმებს, არ იყო აღიარებული როგორც საინვესტიციო ქონება.

ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

განხილული ანგარიშგებების 3%-ში არ იყო წარმოდგენილი სულ მცირე სამი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რაც აუცილებელია წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნიდან გამომდინარე.